

გამჭვირვალობის კოლეგიალური შეფასების ვიზიტი ლუგარის ცენტრში, საქართველო

დამოუკიდებელი ანგარიში

წარდგენილია საქართველოს მიერ

ვინაიდან ორიგინალი (ინგლისური) დოკუმენტი, ვიზიტთან დაკავშირებული დეტალების დაწვრილებითი აღწერის გამო, არის ვრცელი, გთავაზობთ, მის შემოკლებულ ვარიანტს, შეჯამებული ინფორმაციის სახით.

1. სამუშაო დოკუმენტში BWC /MSP / 2018 / WP.5 საქართველომ წარმოადგინა თბილისში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NCDC) რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევის ცენტრში (ლუგარის ცენტრი) ჩატარებული გამჭვირვალობის კოლეგიალური შეფასების ვიზიტის ანგარიში.
2. ამ სამუშაო დოკუმენტში მოცემულია ლონდონის სამეფო კოლეჯის დოქტორის, ფილიპა ლენზოსის დამოუკიდებელი ანგარიში, და უნდა განიხილებოდეს, როგორც BWC / MSP / 2018 / WP.5 სამუშაო დოკუმენტის დამატება.
3. სამუშაო დოკუმენტში მოცემულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია ლუგარის ცენტრის შესახებ; ორდღიანი ვიზიტის მოსამზადებელი სამუშაოებისა და მსვლელობის დეტალები; და ვიზიტორთა გუნდის ანგარიში; ასახულია ამ დოკუმენტის ავტორის მოსაზრებები; და წარმოდგენილია ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის აკრძალვის კონვენციის (ბტიკ) მონაწილე სახელმწიფოების შეხვედრაზე მოხსენებული პრეზენტაცია და დისკუსია.

შესავალი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, 2018 წლის 25 ივლისს ბტიკ - ის მონაწილე სახელმწიფოებისათვის მის მიერ გაგზავნილი წერილით მოიწვია ბტიკ - ის ყველა დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფო თბილისში, საქართველო, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რ. ლუგარის ჯანდაცვის კვლევით ცენტრში დაგეგმილ გამჭვირვალობის

კოლეგიალური შეფასების ვიზიტში მონაწილეობის მისაღებად. აგვისტოში ჩატარებულ ბტიკ-ის ექსპერტთა შეხვედრაზე ეს ინიციატივა საჯაროდ იქნა გაცხადებული.

2018 წლის 14-15 ნოემბერს დაგეგმილი ვიზიტის ძირითად მიზანს, როგორც ეს მოწვევაში იყო აღნიშნული, წარმოადგენდა ლუგარის ცენტრის საქმიანობის ბტიკ-ის დებულებებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დემონსტრირება. გამჭვირვალობის სავარჯიშოს ჩატარებით, საქართველო მიზნად ისახავდა ეჩვენებინა, რომ ადგილზე ასეთი ვიზიტების მეშვეობით, შესაძლებელია ბტიკ-თან შესაბამისობის ნდობის გაძლიერება. მიუხედავად იმისა, რომ გამჭვირვალობის სავარჯიშოები აღიარებულია, როგორც შესაბამისობის მიმართ ნდობის გაძლიერების ერთ-ერთი საშუალება, ხაზგასმული იყო, რომ მსგავსი ვიზიტები ადგილზე, განსაკუთრებით სასარგებლოა იმპლემენტაციის შესახებ დისკუსიებისა და ბტიკ-თან დაკავშირებული დაწესებულებების ყოველდღიური კონკრეტული პროცედურების განხორციელების ერთმანეთთან დასაკავშირებლად. ხაზგასმული იყო აგრეთვე ისიც, რომ გამჭვირვალობის ვიზიტები ვერც ვერიფიკაციას ჩაანაცვლებს, და ვერც შესაბამისობის მექანიზმებს შეეძრება. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ვიზიტორთა გუნდის მიზანს წარმოადგენდა არა იმდენად საქართველოს, და, კერძოდ, ლუგარის ცენტრისთვის ოფიციალური განაჩენის/შეფასების დადება შესაბამისობის მხრივ, არამედ ვიზიტორთა გუნდის წევრებს შორის საქართველოს და ლუგარის ცენტრის მიმართ ნდობის ამაღლება ბტიკ-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით. ვიზიტორთა გუნდს უნდა წარედგინა ვიზიტის შედეგების შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც იქნებოდა ღია ბტიკ-ის ყველა მონაწილე სახელმწიფოსთვის.

გერმანიასა (2016 წ.) და მაროკოში (2017წ.) ჩატარებული ანალოგიური ვიზიტების მსგავსად, ეს ვიზიტიც მიზნად ისახავდა ეჩვენებინა, რომ შესაძლებელია მაღალი ხარისხის გამჭვირვალობა ჰარმონიულ თანხვერდაში იყოს ამ დაწესებულების კანონით განსაზღვრულ უსაფრთხოების/დაცვის და ინტელექტუალური საკუთრების ინტერესებთან. ამასთან, იმედი გამოითქვა, რომ აღნიშნული ვიზიტი სხვა მონაწილე სახელმწიფოებს წახალისებდა მომავალში მსგავსი სავარჯიშოები ჩატარებაში.

სავარჯიშოს ორგანიზებასა და განხორციელებას ხელი შეუწყო გერმანიის ფედერალურმა საგარეო ოფისმა, რომელმაც, მოთხოვნის საფუძველზე, დაფარა ვიზიტორების მგზავრობისა და განთავსების ხარჯები.

მოცულობის გათვალისწინებით, შესაძლებელი იყო მაქსიმუმ 20 ვიზიტორის განთავსება, და თანაბარი წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად, ადგილები უნდა შეესაბამებოდა ყველა რეგიონალური ჯგუფის წარმომადგენლებით.

ამ დოკუმენტის ავტორი მოწვეული იყო როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი, დამოუკიდებელი აზრის გამოსახატავად.

ლუგარის ცენტრის ფუნქციონირების მიმოხილვა

ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს მიერ ბტიკ-ში წარდგენილი „ნდონის განმტკიცების ზომების“ ფორმის შესაბამისად, ლუგარის ცენტრი წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით დაწესებულებას. იგი ატარებს აშშ-ის სენატორ რიჩარდ ლუგარის სახელს, რომლის ინიციატივით განახლდა ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების ლაბორატორიული ქსელი. ლუგარის ცენტრმა 2013 წელს დაიწყო ფუნქციონირება. ეს არის პირველი მაღალი კონტეინმენტის (დაცვის) ლაბორატორია რეგიონში, რომელიც შეესაბამება ბუდ-3 (BSL3) სტანდარტებს. ის არის სათანადოდ აღჭურვილი იმისათვის, რომ შეისწავლოს ადამიანის სერიოზული ან ლეტალური დაავადებები, ბტიკ-ით გათვალისწინებული პათოგენების ჩათვლით. ლუგარის ცენტრი სამოქალაქო დაწესებულებაა. მის მისიასა და მთავარ ფუნქციებს წარმოადგენს:

- საქართველოსა და უფრო ფართო რეგიონის უზრუნველყოფა დაავადებათა აფეთქებების დეტექციისა და დიაგნოსტის შესაძლებლობებით
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების ლაბორატორიული მხარდაჭერით უზრუნველყოფა საქართველოში
- ზოო-ენტომოლოგიური ზედამხედველობის უზრუნველყოფა
- საქართველოში ბიო-სამედიცინო კვლევითი პოტენციალის განვითარება/გაზრდა
- განსაკუთრებით საშიში პათოგენების (გსპ) თავმოყრა ერთ უსაფრთხო და დაცულ ადგილზე
- წარმოადგენს დაწესებულებას, რომელიც პასუხისმგებელია ბიოუსაფრთხოებისა და ბიოლოგიური დაცვის მიმართულებით
- ლაბორატორიაზე დაფუძნებული ზედამხედველობის უზრუნველყოფა ჯანმო-ს ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების (IHR) შესაბამისად

- ჯანმრთელობის გლობალური უსაფრთხოების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებში მონაწილეობა

ლუგარის ცენტრში ლაბ. ფართს ქირაობს აშშ-ის უოლტერ რიდის სამხედრო კვლევითი ინსტიტუტი(WRAIR) და იქ მუშაობს ამერიკული სამხედრო პერსონალის მცირე რაოდენობა (9).

გამჭვირვალობის ვიზიტი ლუგარის ცენტრში ჩატარდა მიუხედავად სულ უფრო მზარდი კონფრონტაციული განცხადებების სერიისა, რომლითაც რუსეთი ექვემდებარება აყენებდა ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლაბორატორიებში, კერძოდ, საქართველოში, ლუგარის ცენტრში, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ყოფნის მიზნებს.

ბრიფინგი ვიზიტის დაწყებამდე „დაწესებულების უსაფრთხოების ზომების“ შესახებ

ვიტიზის წინა საღამოს, 13 ნოემბერს, ურთიერთგაცნობის მიზნით, გაიმართა მოკლე შეხვედრა ექსპერტებისა და დამკვირვებლებისგან შემდგარ გუნდსა და მასპინძელი ორგანიზაციის წევრებს შორის.

ვიზიტორთა გუნდი შედგებოდა იმ სახელმწიფოების წარმომადგენელი ეროვნული ექსპერტებისა და დიპლომატებისგან, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ვიზიტში მონაწილეობაზე. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მონაწილე სახელმწიფოებისთვის გაგზავნილ მოწვევაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მოხარული იქნებოდა დარგის ექსპერტების - ბიოლოგებისა და ვირუსოლოგების, ასევე, ინფექციური დაავადებების სპეციალისტების, მონაწილეობით. ბიოლოგიურ ლაბორატორიებში შესასვლელად ყველა მონაწილეს უნდა დაეკმაყოფილებინა უსაფრთხოების შესაბამისი წესები. BSL-3 ლაბორატორიაში დაშვებულ იქნა მაქსიმუმ ოთხი ექსპერტი. ამ ექსპერტებს მოეთხოვებოდათ BSL-3 ლაბორატორიაში მუშაობის წინა გამოცდილების დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენა და ჯანმრთელობის მიმართ სპეციფიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება. გამჭვირვალობის ვიზიტში მონაწილეობა მიიღო 19-მა წარმომადგენელმა შემდეგი მონაწილე სახელმწიფოებიდან: ავსტრია, ამერიკის შეერთებული შტატები, ბოსნია და ჰერცეგოვინა, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, ერაყი, იტალია, კამერუნი, კოლუმბია, ყაზახეთი, მალაიზია, მალი, მიანმარი, მონტენეგრო, უგანდა, უნგრეთი, ჩილე. მათთან ერთად

მონაწილეობა მიიღეს ევროპის საგარეო ღონისძიებების სამსახურის (European External Action Service), BTWC-ის ი პლემენტაციის ხელშემწყობი ერთეულის (ISU) და ლონდონის სამეფო კოლეჯის წარმომადგენლებმა.

ამ შეხვედრის დროს, ვიზიტორთა გუნდს დაურიგდა დოკუმენტების პაკეტი, რომელიც „დაწესებულების დებულებების“ (facility provisions) შესახებ ინფორმაციის გარდა შეიცავდა სხვადასხვა დოკუმენტებს, როგორცაა:

- (1) ვიზიტის ძირითადი მიზანი (შეჯამებულია ამ დოკუმენტის შესავალში)
- (2) 2017 წელს წარდგენილი „ნდობის განმტკიცების ზომების“ ფორმა, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას ბტიკ-ის გათვალისწინებული მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
- (3) მოკლე ინსტრუქცია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროცედურების შესახებ ლუგარის ცენტრში, ვიზიტორთათვის გასათვალისწინებელი სავალდებულო ინსტრუქციების ჩათვლით.
- (4) ადმინისტრაციული და სამოქმედო პროცედურები ვიზიტის დროს, ვიზიტორთა ჯგუფებად დაყოფის, ვიზიტის მარშრუტის და უსაფრთხოების შეზღუდვის მოთხოვნების ჩათვლით.
- (5) ვიზიტის ჩატარების სახელმძღვანელო წესები, რომლის მიხედვითაც „ესკორტის“ წევრებს და ლაბორატორიის მთელ პერსონალს მოეთხოვებათ მაღალი ხარისხის გამჭვირვალობის ჩვენება და ღიაობა ბტიკ-თან დაკავშირებული საქმიანობის მიმართულებით, ხოლო ვიზიტორებს - მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა გასაჯაროებისაგან.

მხოლოდ მცირე შეზღუდვები იქნა დაწესებული ვიზიტორებისათვის უსაფრთხოებისა და დაცვის მოსაზრებებისაგან გამომდინარე, რომლებიც შეეხებოდა ეროვნული უსაფრთხოების ასპექტებს, პაციენტის პირად მონაცემებს და ჯერ გამოუქვეყნებელ სამეცნიერო კვლევით შედეგებს.

ვიზიტორთა გუნდს ნება დართეს, ენახათ დაწესებულების დოკუმენტები, გასაუბრებოდნენ და გამოეკითხათ პერსონალი. მიუხედავად იმისა, რომ

ვიზიტორებს არ მიეცათ საკუთარი ფოტოაპარატის შეტანის ნებართვა, მათ შეეძლოთ ეთხოვათ ესკორტისათვის ფოტოების გადაღება. ფოტოები რჩებოდა მასპინძელთან, მაგრამ შესაძლებელი იყო ზოგიერთი ფოტოს დართვა ვიზიტორების ანგარიშისათვის.

(6) **ვიზიტის შედეგები.** როგორც ეს მოწვევაში იყო აღნიშნული, მოელოდნენ, რომ ვიზიტის მონაწილეები დასკვნას მოამზადებდნენ ადგილზე, ვიზიტის დასრულებისთანავე. დასკვნა შემუშავდებოდა კონსენსუსის საფუძველზე, და მასში უნდა ასახულიყო ყველა ის განსხვავებული აზრი, რომელიც ვიზიტორთა გუნდს შორის წარმოიშობოდა. ამასთან, ესკორტსა და დაწესებულების პერსონალს უნდა ეთანამშრომლათ დასკვნითი დოკუმენტის მომზადების დროს, მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით.

საბოლოო განხილვის დროს ანგარიში წარედგინა ესკორტისა და დაწესებულების პერსონალს, რომელთაც შესაძლებლობა მიეცათ, გაეკეთებინათ კომენტარები ან შეეთავაზებინათ დამატებები, რაც უზრუნველყოფდა დოკუმენტის ფაქტობრივ და ტექნიკურად გამართულობას, და ასევე, დაიცავდა ეროვნულ ინტერესებს და პირადი საკუთრების უფლებებს. დასკვნის საჯარო გავრცელება უნდა ყოფილიყო საქართველოს პასუხისმგებლობა.

წინასწარი ბრიფინგის დროს ვიზიტორთა გუნდის წევრებს ხელი უნდა მოეწერათ ფორმაზე, რომლითაც ისინი ადასტურებენ, რომ გაეცნენ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესებს. ერთობლივი შეთანხმებით, უნდა აერჩიათ გუნდის ლიდერი და ოთხი წევრისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ბუდ-3 (BSL3) ლაბორატორიაში შევიდოდა.

ვიზიტის პროგრამა მოიცავდა შემდეგ ძირითად ასპექტებს: პირველი სამუშაო დღის მოკლე მიმოხილვას, შემდეგ ლუგარის დაწესებულების და ბუდ-2 ლაბორატორიების დათვალიერებას და პერსონალთან გასაუბრებას. მეორე დღეს, ოთხკაციანი ჯგუფი ეწვეოდა ბუდ-3 ლაბორატორიულ კომპლექსს, ვიზიტორთა გუნდის დანარჩენი წევრები ესტუმრებოდნენ ადმინისტრაციულ კორპუსს, საწყობებს, ინსენერატორს, გენერატორებსა და წყლის ავზებს. მოგვიანებით, ვიზიტორთა გუნდი სრული შემადგენლობით, იმსჯელებდა ვიზიტის შეფასებაზე და მოამზადებდა დასკვნით ანგარიშს მასპინძელთან პლენარული განხილვისათვის.

ბრიფინგი

დამოუკიდებელი ანგარიშის ავტორი დეტალურად აღწერს ვიზიტის პირველი დღის აქტივობებს, შეხვედრის ოფიციალური გახსნის, მედიის საშუალებებთან ინტრევიუების და ჯანდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების მაღალი დონის ოფიციალური წარმომადგენლების მისასალმებელი სიტყვების ჩათვლით.

ავტორი აღნიშნავს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მისასალმებელი სიტყვით გამოსვლას, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მისალმებას და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის სიტყვას, რომელშიც ხაზგასმულია ლუგარის ცენტრის ღიაობა და მზაობა გამჭვირვალობის ვიზიტის ჩასატარებლად და ვიზიტის მნიშვნელობა, როგორც „მედიის ცრუ პროპაგანდის საწინააღმდეგო ინსტრუმენტი“.

დამოუკიდებელი ექსპერტი აღწერს ლუგარის ცენტრში შესვლის პროცედურულ დეტალებს, რომელსაც ადარებს აეროპორტის უსაფრთხოებისა და დაცვის პროცედურებს. ვიზიტორებს მოეთხოვათ დაცვის სამსახურისთვის პასპორტების, კამერების, ლეპტოპების და პერსონალური ნივთების ჩაბარება.

ვიზიტის სამუშაო ნაწილი გახსნა ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილემ - პ. იმნაძემ ლუგარის ცენტრის და მისი ისტორიული განვითარების შესახებ პრეზენტაციით, რომლის ელექტრონული და ამობეჭდილი ვერსიები დაურიგდათ ვიზიტორებს სხვა საინფორმაციო მასალასთან ერთად. მოხსენება მოიცავდა ინფორმაციას ლუგარის ცენტრის მისიის, ბიუჯეტის, დაავადებათა ზედამხედველობისა და საზ.ჯანდაცვის პროგრამებში მონაწილეობის შესახებ. წარმოდგენილ იქნა ლუგარის ცენტრის სტრუქტურა და ფუნქციური განაწილება განყოფილებებს შორის, სამეცნიერო-კვლევითი და დაავადებათა დიაგნოსტიკის მხარდამჭერი საქმიანობა.

მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ჯანმო-ს მიერ აკრედიტებული (პოლიო, გრიპის და წითელა-წითურას) და ISO სერტიფიკატის მქონე ლაბორატორიები და პათოგენთა აღრიცხვის კონტროლის სისტემა (PACS); მოხსენება მოიცავდა ლუგარის ცენტრის სამეცნიერო მიღწევებს, როგორებიცაა, ახალი ორთოპოქსვირუსის აღმოჩენა და სხვა კვლევების შედეგები (ძროხის ყვავილი, ბრუცელოზის პათოგენი ღამურაში), რომლებიც უახლოეს წლებში იქნა მიღებული.

ავტორი აღნიშნავს, რომ შერჩეული პუბლიკაციების ჩამონათვალი მოიცავდა ისეთებს, რომლებიც საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებშია გამოქვეყნებული. თანამშრომლობა კოლაბორაციულ ინსტიტუტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საკმაოდ შთამბეჭდავია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ჯანმრთელობის გლობალური უსაფრთხოების სამოქმედო პაკეტში საქართველოს წვლილი. ლუგარის ცენტრი მონაწილეობს საერთაშორისო სემინარებსა და სწავლებებში, როგორცაა, ბიოუსაფრთხოება და ბიოლოგიური დაცვა, გენომის სექვენირება. ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან და ზრდის მომავალი თაობის მკვლევარებს სადოქტორო და სამაგისტრო სტუდენტების სახით.

ერთსაათიანი მოხსენების შემდეგ, გენერალური დირექტორის მოადგილემ - პ. იმნაძემ, უპასუხა შეკითხვებს.

უახლესი ნაბეჭდი მასალა ინგლისურ ენაზე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მისიის, მანდატისა და სტრუქტურის, სახელმწიფო პროგრამების, გლობალური ფონდის აივ/შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამების, 2012-2017 წწ. მიღწევებისა და ცენტრის 2018-2022 წწ. სტრატეგიის შესახებ, დაურიგდათ ვიზიტის მონაწილეებს.

დაწესებულების და მისი მიმდებარე შენობა-ნაგებობების დათვალიერება

დამოუკიდებელი ექსპერტი დეტალურად აღწერს 14 ნოემბერს დაწესებულების და მისი მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერების მარშრუტს. ორ ჯგუფად გაყოფილმა გუნდმა ერთიდაიგივე მარშრუტი გაიარა. თითოეული ჯგუფი წინასწარ თანაბრად დაკომპლექტდა ექსპერტებით და დამკვირვებლებით, თუმცა ვიზიტის მონაწილეებს შეეძლოთ ადვილად შეეცვალათ ჯგუფი სურვილის მიხედვით.

ესკორტის ოთხი წევრისგან შემდგარი ჯგუფის თანხლებით ვიზიტორებმა დაათვალიერეს ბუდ-2 ლაბორატორიები, ადგილზე გაეცნენ ლაბორატორიის მუშაობის სპეციფიკას და ფუნქციურ დატვირთვას. მათ შესაძლებლობა მიეცათ პერსონალურად გასაუბრებოდნენ თითოეულ

თანამშრომელს. სხვადასხვა კუთხიდან შესაძლებელი იყო ფანჯრის მიღმა ბუდ-3 ლაბორატორიაში შეხედვა, აგრეთვე, ავტოკლავისა და ჰაერის ჩამკეტების დანახვა გარედან. ვიზიტის დროს, ბუდ-3 ლაბ-ში მუშაობდნენ სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის თანამშრომლები.

ლაბორატორიული სივრცეების გარდა, ვიზიტორთა გუნდმა მოინახულა: მიმღები განყოფილება, საიდანაც მასალა გადაიგზავნება შესაბამის ლაბორატორიაში საანალიზოდ; ვივარიუმი, რომელიც თავდაპირველად ცხოველებზე სამუშაოდ იყო დაპროექტებული, თუმცა ამჟამად ამ მიზნით არ გამოიყენება. ვიზიტორთა გუნდმა დაათვალიერა ადმინისტრაციული სივრცეები, საწყობები, მექანიკური ოთახი გენერატორისთვის, ვენტილაციისა და გათბობის სისტემები, ბოილერი, ფუნქციური ოთახები, დაცვის ცენტრალური ოთახი და სამრეცხაო, ასევე, დაწესებულების სხვენი.

ვიზიტორთა გუნდს ნება დართეს ვიზუალურად დაეთვალიერებინათ ქალაქის დოკუმენტები და ელექტრონული ჩანაწერები მოთხოვნის შესაბამისად. ავტორმა გადახედა მინიმუმ ნახევარ ათეულ მოთხოვნილ დოკუმენტს. ვიზიტორთა გუნდმა მოითხოვა სოპ-ები, მასალის უსაფრთხოების მონაცემთა ფორმა (MSDS), ნიმუშის რეგისტრაციის და ნიმუშის დაწუნების ფორმები, რისკის შეფასების დოკუმენტი, ბიოუსაფრთხოების კომიტეტის ოქმები და ბიოუსაფრთხოების სახელმძღვანელოები, რომელთა ნაწილიც მაშინვე წარუდგინეს.

დაწესებულების დათვალიერების დროს ვიზიტორთა გუნდს საშუალება მისცეს დაეთვალიერებინათ უოლტერ რიდის სამხედრო კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორია და გასაუბრებოდნენ პერსონალს. ლაბორატორიაში ვიზიტორთა გუნდს მოახსენეს მიმდინარე კვლევითი პროექტების შესახებ, ამ პროექტების მიზნების ჩათვლით.

- საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში არადიფერენცირებული მწვავე ფებრილური დაავადებების გამომწვევთა დახასიათება
- საავადმყოფოსშიდა ინფექციებზე საექვო კლინიკური ნიმუშებიდან (სისხლი და შარდი) გამოყოფილი ბაქტერიული იზოლანტების შეგროვება და ანალიზი; იდენტიფიცირება და ანტიმიკრობული რეზისტენტობის განსაზღვრა, მიმდინარე და აღმოცენებადი რეზისტენტობის მონიტორინგი. და ასევე, ექსპერტების დახმარება მასპინძელი ქვეყნისთვის
- ახალი გაუმჯობესებული Tac array ტესტირების გამოყენებით ერთდროულად მრავალი სხვადასხვა ნაწლავური პათოგენის

იდენტიფიცირება განავლის ნიმუშებში და მწვავე დიარეის განავლის ნიმუშების კოლექციის სკრინინგი.

- ნოროვირუსის (NoV) და ენტეროტოქსიგენური ნაწლავის ჩხირის (ETEC) პრევალენტობის განსაზღვრა აშშ-ს მოქალაქეებში, საქართველოში და ETEC-ის იზოლატების ანტიმიკრობული რეზისტენტობის განსაზღვრა.
- მწვავე რესპირატორული ინფექციების (ARI) გამომწვევების შესწავლა ქართულ კონტიგენტში. განსაკუთრებული ინტერესის მქონე პათოგენებზე, კერძოდ, გრიპსა და ადენოვირუსზე, შესაძლებელია ჩატარდეს მთლიანი გენომის სექვენირება, რათა უკეთ იქნას გაშიფრული/შესწავლილი პათოგენის ეპიდემიოლოგია, ინფექციების კლინიკური სპექტრის, ან გრიპის სავაქცინო შტამების იდენტიფიცირების პოტენციალი.
- სქესობრივი გზით გადამდები ზოგიერთი ინფექციების პრევალენტობის განსაზღვრა ქართულ კონტიგენტში.
- საქართველოში აივ ინფექციის გამოვლენის ზუსტი და პრაქტიკული ბიოლოგიური ინსტრუმენტების განსაზღვრა, რათა აივ პრევენციისა და მკურნალობის პროგრამა სათანადოდ იქნას გამოყენებული.
- აივ ინფიცირების ინციდენტობის შეფასების ზუსტი და პრაქტიკული ბიოლოგიური ინსტრუმენტების განსაზღვრა, საქართველოში ახლად დიაგნოზირებულ 1/2/ აივ შემთხვევებთან მიმართებაში.
- საქართველოში არსებული კოლოების (ინვაზიური კოლოების ჩათვლით), ქვიშის რწყილებისა და ტკიპების იდენტიფიცირება და მათი გავრცელების არეალის დადგენა

ვიზიტორებს დაურიგდათ ნაბეჭდი მოხსენებები, რომელიც შეიცავდა მათ გამოქვეყნებაზე აკრძალვის უარყოფას. ლუგარის ცენტრში WRAIR საქმიანობა ღია საგამომცემლო პოლიტიკის და არაკლასიფიცირებული მუშაობის ქვეშ მიმდინარეობს. სპეციფიკური აღჭურვიულობა, რომელსაც WRAIR იყენებს ლაბორატორიაში მარტივად ხელმისაწვდომი იყო ვიზიტორთა გუნდისთვის, და კითხვები, რომელსაც უსვამდნენ WRAIR-ის პერსონალს, ჯგუფურად თუ ერთი-ერთზე, დამაკმაყოფილებლად იყო პასუხგაცემული.

პირველი დღის სამუშაო ვიზიტის დასრულებამდე, ორივე ჯგუფი მასპინძლებთან ერთად შეიკრიბა ლუგარის ცენტრის სხდომის დარბაზში მოკლე შემაჯამებელი განხილვით და კითხვა-პასუხისთვის. ვიზიტორთა

გუნდმა მოითხოვა დოკუმენტები, რომლებიც მომდევნო დღისთვის უნდა წარედგინათ მასპინძლებს.

15 ნოემბერს, ბუდ-3 ლაბორატორიაში დასათვალისწინებლად შევიდა ოთხკაციანი ჯგუფი, რომელიც სამ საათს გაგრძელდა. ჯგუფი გაეცნო პათოგენების აღრიცხვის კონტროლის სისტემას (PACS) და მის ფუნქციონირებას, პათოგენების მოძრაობის და შენახვის ჩათვლით. ვიზიტორთა ჯგუფის დანარჩენმა წევრებმა დაათვალისწინეს დაწესებულების მიმდებარე შენობა-ნაგებობები ინსინერატორის და ინსინერებული ნარჩენების შენახვის, საწვავისთვის განკუთვნილი რეზერვუარების, ბოილერებისა და გენერატორების, წყლის სისტემის, წყლის ავზების, დაცვის პერიმეტრისა და ღობის ჩათვლით, დიზელის საქაჩი სადგურები, შესანახი კონტეინერები, საწყობები, ვაქცინის სასაწყობე შენობები; ადმინისტრაციული შენობა სრულად - სხვენიდან სარდაფის ჩათვლით, მათ შორის, საოფისე ოთახები, რომლებსაც იკავებს WRAIR პერსონალი. ადმინისტრაციული შენობის ყველა კარი ღია იყო ვიზიტორთათვის.

კონკრეტული პერსონალი (მეცნიერების და ტექნიკური მუშაკების, ინჟინრების, მომსახურე პერსონალის, დაცვის ოფიცრების, საწყობების და ადმინისტრაციული თანამშრომლების ჩათვლით) ვიზიტორთა ჯგუფის განკარგულებაში იმყოფებოდა, რათა მიეწოდებინათ მოკლე ინფორმაცია და პასუხი გაეცათ კითხვებზე, საჭიროების შემთხვევაში, მთარგმნელის დახმარებით. მასპინძლებისგან ხშირად შემხვედრი კითხვები ისმებოდა, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება გამოსწორდეს ესა თუ ის პრაქტიკა ან პროცედურა.

ვიზიტორთა გუნდის ანგარიში

15 ნოემბერს, ნაშუადღევს, ვიზიტორთა გუნდმა დასკვნითი ანგარიში მოამზადა. ანგარიშის მოსამზადებლად, მათთვის გამოიყო საკონფერენციო დარბაზი ადმინისტრაციულ შენობაში. ანგარიშის მომზადების დროს შეხვედრას არ ესწრებოდნენ მასპინძელი ორგანიზაციის წარმომადგენლები. სხდომის დაწყებამდე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერვონული ცენტრის და ლუგარის ცენტრის წარმომადგენლებმა განსახილველად წარმოადგინეს წინა დღეს მოთხოვნილი დოკუმენტები, დასკვნის სამუშაო ვერსიის შექმნის პროცესში.

ვიზიტორთა გუნდის ლიდერმა მოამზადა წინასწარი ანგარიშის მონახაზი და სხვა წევრებმა შეიტანეს შესწორებები და დამატებები. არსებითად

განსხვავებული ხედვა გუნდის წევრებს შორის არ ყოფილა, აქცენტებში მცირედი სხვაობისა და სიტყვათწყობის/ფორმულირების გარდა. ვინაიდან, ვიზიტორთა გუნდმა იცოდა, რომ პოლიტური კონტექსტის გამო შესაძლებელი იყო მათი ანგარიშის გამოყენება, ანგარიშის საბოლოო ვერსიად ჩამოყალიბებას თითქმის სამი საათი დასჭირდა.

ანგარიშის მომზადების განმავლობაში, ესკორტი და ადმინისტრაციული პერსონალი ადგილზე იმყოფებოდა, საჭიროების შემთხვევაში, განმარტებითი ინფორმაციის მისაცემად, თუმცა წინასწარი ანგარიშის ამობეჭდვის გარდა, სხვა სახის ჩართულობა არ გახდა საჭირო.

საბოლოო დასკვნითი/შემაჯამებელი ანგარიში წარმოადგენდა 11 პარაგრაფისგან შედგენილ მოკლე დოკუმენტს. ვიზიტორთა გუნდმა ჩათვალა, რომ ლაბორატორიული ფართების ზომა, პერსონალის რაოდენობა, სამეცნიერო დისციპლინების წარმომადგენლები სამეცნიერო/საინჟინრო პერსონალიდან, ინფორმაცია პათოგენებისა და ტოქსინების ტიპების შესახებ, რომლებზეც მიმდინარეობს მუშაობა და შეისწავლება დაწესებულებაში, შესაბამისობაშია „ნდობის განმტკიცების ზომების“ ფორმაში მოცემულ და სხვა ინფორმაციასთან, რომელიც ვიზიტორთა გუნდს მიაწოდეს.

ვიზიტორთა გუნდმა აღნიშნა შემდეგი:

- ფიზიკური დაცვის ზომები მოიცავდა უსაფრთხოების პერიმეტრზე არსებულ დამცავ ღობეს, მეთვალყურეობისა და მონიტორინგის სისტემას, უსაფრთხოებაზე შემოწმებას, დაცვის პერსონალს და დაშვების კონტროლის რამდენიმე დონეს (დაშვების ბარათები, PIN კოდი, ბიომეტრიული მოწყობილობები, გასაღებები და ა.შ.), რათა თავიდან იქნას აცილებული სენსიტიურ ზონებში არასანქცირებული წვდომა. თანამშრომლები და სტუმრები საჭიროებენ საიდენტიფიკაციო „ბეიჯებს“. ყველა სტუმარი ვალდებულია დაწესებულებაში შესვლამდე მინიმუმ 72 საათით ადრე შეავსოს ვიზიტორის დაშვების ფორმა და მათ ესკორტირებას უწევს დაწესებულების პერსონალი. ყველა თანამშრომელი, მათ შორის, კონტრაქტორები, დასუფთავებისა და ტექნიკური პერსონალი, ვალდებულია რეგულარულად გაიაროს უსაფრთხოების საკონტროლო შემოწმება.
- აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა, რომელიც შემოწმებულ იქნა დაწესებულებაში, შეესაბამებოდა პროფილაქტიკურ, დამცავ და სხვა მშვიდობიან კვლევას და დიაგნოსტიკურ მიზნებს, რომელიც

გაცხადებულია ამ დაწესებულების მიერ. რამდენიმე ლაბორატორია აკრედიტებულია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, როგორცაა ISO და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. ბიოუსაფრთხოებისა და ბიოლოგიური დაცვის წარმოდგენილი ზომები აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

- პათოგენები, რომლებზეც დაწესებულებაში მუშაობენ, ინახება საცავში, და ვიზიტორთა გუნდისთვის დეტალურად იქნა განმარტებული მათზე წვდომის კონტროლისა და ინვენტარიზაციის მართვის პროცესი, აუდიტის ჩათვლით. გუნდი, აგრეთვე, გაეცნო პათოგენთა აღრიცხვის კონტროლის სისტემას (PACS). დაცული პათოგენური შტამები შესაბამისობაშია პროფილაქტიკური, დამცავი და სხვა მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოყენებასთან. ცენტრს ჰყავს საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციის (IATA) მიერ სერტიფიცირებული მომზადებული პერსონალი, რომელსაც შეუძლია საშიში მასალების გაგზავნა-მიღების უზრუნველყოფა. ადგილზე ხორციელდება დეკონტამინაციის პროცესები და ნარჩენების მართვის პროცედურები, რაც დეტალურად იქნა განმარტებული ვიზიტორთათვის.
- გუნდის მოთხოვნის საფუძველზე, ასევე წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია, მათ შორის, ეროვნული ნორმატიული აქტები, რომლებიც შეესაბამება ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის აკრძალვის კონვენციის (ბტიკ) განხორციელებას, ხარისხისა და ბიოუსაფრთხოების სახელმძღვანელოები, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების და მზადყოფნის სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (SOP), ჩანაწერები: ბიოუსაფრთხოების კომიტეტის სხდომების, ტექნიკური მომსახურების, პერსონალის ტრენინგების შესახებ (ტექნიკური, ბიოუსაფრთხოების, ბიოდაცვის და საგანგებო სიტუაციების სავარჯიშოები და ა.შ.), ორმაგი დანიშნულების ბიოეთიკის ნორმების შესახებ, მათ შორის, ბტიკ ვალდებულებებზე, ტრენინგის დღის წესრიგი და განრიგი.
- ვიზიტის ფარგლებში, სამეცნიერო და ტექნიკური ექსპერტიზის მქონე პერსონალის გარდა, შესაძლებელი იყო გასაუბრება ტექნიკურ, საინჟინრო, უსაფრთხოების, ადმინისტრაციულ და ოპერატიულ პერსონალთან და კითხვებზე პასუხის მიღება. ვიზიტის ფარგლებში ლაბორატორიის პერსონალი და ესკორტის

წარმომადგენლები სრულად იყვნენ ჩართულნი პროცესში, მზად იყვნენ პასუხი გაეცათ შეკითხვებზე და მოთხოვნებზე, დაწესებულების ტერიტორიის დათვალიერების, დოკუმენტაციის გაცნობისა და ინფორმაციის მიღების თაობაზე. ამგვარმა ურთიერთობამ შექმნა საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის საშუალება. ლაბორატორიის თანამშრომლებმა გამოხატეს სურვილი მომავალში მონაწილეობა მიიღონ ხარისხის გარე კონტროლის უზრუნველყოფის საერთაშორისო სწავლებაში.

- ბიოუსაფრთხოების, ბიოლოგიური დაცვის და ორმაგი დანიშნულების კვლევის პროცედურები, პათოგენებთან და ტოქსინებთან მოპყრობა და მათი მოძრაობა, ბიოუსაფრთხოებისა და ბიოლოგიური დაცვის შესახებ განათლება და ცნობიერების ამაღლების პროგრამები და სხვა აღნიშნული ზომები, ცხადყოფენ დაწესებულების მზადყოფნას შეასრულონ ბტიკ-ის III და IV მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებები. მიწოდებულ იქნა აგრეთვე ინფორმაცია რეგიონული და საერთაშორისო დახმარების და თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, რომელიც შეესაბამება ბტიკ-ის X მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.”

მასპინძლებს შემაჯამებელი/დასკვნითი ანგარიში წარედგინათ დღის ბოლოს და ვიზიტი ფორმალურად დასრულდა.

დაკვირვების შედეგები

გამკვირვებლობის ვიზიტმა აჩვენა საქართველოს და ლუგარის ცენტრის მიერ ბტიკ-ის დებულებებისა და ვალდებულებების სათანადო განხორციელება, რამაც გაზარდა საქართველოს და ლუგარის ცენტრის ბტი კონვენციასთან შესაბამისობის მიმართ მონაწილე სახელმწიფოების ნდობა.

ვიზიტი განხორციელდა პროფესიონალურ დონეზე. პერსონალი მოქმედებდა პროფესიონალურად. ისინი იყვნენ ღია, დახმარე და ინფორმაციის მიმწოდებელნი. ნათლად აჩვენეს მზადყოფნა, დაენერგათ ბიოუსაფრთხოებისა და ბიოლოგიური დაცვის ზომები და მაღალი სტანდარტის პრაქტიკა.

აღნიშნული ვიზიტი, მონაწილე სახელმწიფოების ძალისხმევით, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ნდობის განმტკიცების და ბტიკ-ითან

შესაბამისობის გაზრდაში. მცირეოდენი საკითხები არის დასახვეწი სამომავლოდ, რომელთაგან ლოგისტიკური ერთ-ერთია. მაგალითად: სასარგებლო იქნება ვიზიტორი გუნდის წევრების წინასწარი შეხვედრა, როლებსა და კომპეტეციებზე/პასუხისმგებლობებზე შეთანხმენა, თითოეული მონაწილის უფრო დეტალური ბიოგრაფიული და ექსპერტული მონაცემების წარმოდგენა. ვიზიტორთა უკეთ მომზადების მიზნით, ასევე, სასარგებლო იქნება დაწესებულების დოკუმენტების მიწოდება, მათ შორის, მეტი ინფორმაცია მასპინძელი ქვეყნისა და დაწესებულების მიერ ბტიკ-ის შესაბამისობის განხორციელებაზე და ზოგადად ამ დაწესებულებაზე. 14 ნოემბერს, დღის ბოლოს გუნდის მიერ ექსპრომტად ჩატარებული დისკუსია ძალიან სასარგებლო იყო, პირველადი შთაბეჭდილების ერთობლივი შემოწმების მხრივ, და იმის დასადგენად, დარჩა თუ არა პასუხგაუცემელი კითხვები. ამ ტიპის დისკუსია მარტივად შეიძლება იქნას შეტანილი/გათვალისწინებული სამომავლო ვიზიტის პროგრამაში. ლუგარის ცენტრში ვიზიტის დროს ძირითადი ყურადღება დაეთმო ლუგარის ცენტრის თანამშრომლების პერსონალური იდენტიფიცირების მინიმუმამდე შემცირებას, თუმცა არ იქნა გათვალისწინებული ვიზიტორთა გუნდის ფოტოებისა და ვიდეოების მასშედიით და სხვა საჯარო საშუალებებით გავრცელების შეზღუდვა. ეს წინააღმდეგობრიობა ერთის მხრივ, ვიზიტის გამჭვირვალობის სურვილის არსებობასა, და მეორეს მხრივ, პერსონალური კონფიდენციალურობის შენარჩუნებას შორის, ალბათ ამ კონკრეტული ვიზიტის შინაარსიდან მომდინარეობს, მაგრამ მომავალში მეტი ძალისხმევა უნდა იქნას მიმართული წინასწარი კომუნიკაციის უკეთ დასაგეგმად.

სხვა საკითხები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას, უკავშირდება ინფორმაციის გაცვლას და ექსპერტებს/კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებას. ვიზიტის დროს, საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა ბევრ შემთხვევაში მოხდა ვიზიტორთა გუნდის წევრებსა და ცენტრის პერსონალს შორის. მნიშვნელოვანი იქნება, იმაზე დაფიქრება, მომავალში როგორ უნდა განხორციელდეს კოლეგებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა, დაწყებული დიალოგების და კავშირების შენებით და შემდგომ, მდგრადობისათვის მსგავსი განმეორებითობის მექანიზმების წარდგენით, რომლებსაც ვიზიტის დროს ჩაეყარა საფუძველი.

ბოლო საკითხი ეხება იმას, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული/აღქმული გამჭვირვალობის ვიზიტი. ლუგარის ცენტრში ვიზიტისას „მოქცევის წესებით ხელმძღვანელობა“, რომელიც „დაწესებულების უსაფრთხოების

ზომებში“ იყო გაწერილი, უფრო მეტად კავშირშია უსაფრთხოების/დაცვის შესაბამისობის შეფასებასთან, ინსპექტირებასთან ან ზედამხედველობასთან, ვიდრე გამჭვირვალობის ვიზიტთან, რომლის მიზანია იმის დემონსტრირება, თუ როგორ ხორციელდება ბტიკ ეროვნულ დონეზე. ეს დაკავშირებულია, კერძოდ, ფორმალური ინტერვიუს გამოყენების მეთოდოლოგიასა და სპეციფიკურობასთან, წერილობითი კითხვების წარდგენასთან, ფოტომასალის და გეოგრაფიული კოორდინატების მოთხოვნასთან. ვიზიტის ამ გზით ფორმალიზაცია არ არის საჭირო. სინამდვილეში, ის შესაძლოა კონტრპროდუქტიული გახდეს, რადგან შექმნის შთაბეჭდილებას, რომ ვიზიტი შესაბამისობის შეფასებას, ინსპექტირებას ან გამოძიებას ემსახურება. ეს, ასევე, ვრცელდება ტერმინზე „დაწესებულების უსაფრთხოების ზომები“, რომელიც შესაძლებელია ფორმულირდეს ინფორმაციული პაკეტის, ან რამე ნაკლებ თვალშისაცემი (ინტერუზიული) დასახელების შეთავაზებით.

მთლიანობაში, ვიზიტი წარმოადგენდა სათანადო ნიმუშს.

დასკვნისათვის, ეს ვიზიტი უფრო მეტად პოლიტიკურად სენსიტიურ ვიზიტს წარმოადგენდა, ვიდრე კოლეგიალურ განხილვას. ვიზიტორთა გუნდისთვის ეს, განსაკუთრებით, ნათლად აღსაქმელი გახდა მის დაწყებამდე, მედია საშუალებების ადგილზე ყოფნის გამო, თუმცა ამ ინტერესმა ჩამოაყალიბა ის შეკითხვები, რომლებზეც პასუხი იქნა გაცემული და ის საკითხები, რომლებსაც ყურადღება მიექცა.

კოლეგიალური განხილვა არის მნიშვნელოვანი საშუალება, რათა კონკრეტული დისკუსიები გაიმართოს ნდობისა და გამჭვირვალობის შესახებ ბიოლოგიური განიარაღების მიმართულებით.

მოხსენება ვიზიტის შესახებ ბტიკ-ის მონაწილე სახელმწიფოების შეხვედრაზე

ვიზიტორთა გუნდის ანგარიში საჯაროდ იქნა გამოტანილი სამუშაო დოკუმენტის საშუალებით მონაწილე სახელმწიფოების დეკემბრის შეხვედრაზე. სამუშაო დოკუმენტი შეადგინეს საქართველომ და გერმანიამ და წარადგინეს აშშ-ს, ავსტრიის, ბელგიის, გაერთიანებული სამეფოს, ერაყის, კოლუმბიის, მალაიზიის, მალის და უნგრეთის თანასკონსორციუმით.

ამასთან, გამჭვირვალობის ვიზიტის შესახებ მოხსენება წარდგენილ და განხილულ იქნა მონაწილე სახელმძიფოების შეხვედრის საჯარო ღონისძიებაზე (side event), რომელიც ჩატარდა 4 დეკემბერს. ღონისძიებას თავჯდომარეობდა გერმანიის მუდმივი წარმომადგენელი განიარაღების კონფერენციაზე, ელჩი პიტერ ბეერვეტი. შეხვედრა გახსნა მუდმივმა წარმომადგენელმა განიარაღების კონფერენციაზე ბეარვეტიმ, მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ იან ჰუანგი, საფრანგეთის წარმომადგენელი განიარაღების კონფერენციაზე და საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი და ელჩი გაერო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში - ვიქტორ დოლიძე. გამჭვირვალობის ვიზიტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა პ. იმნაძე და ანგარიშებით წარსდგნენ კატრინ ლინი, ვიზიტორთა გუნდის ლიდერი, მალაიზიის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, და ფილიპა ლენზოსი, ლონდონის სამეფო კოლეჯის დოქტორი და დამოუკიდებელი ექსპერტი. ემილ კაზაკოვმა, ევროპის გარე საქმიანობის წარმომადგენელმა, წარმოადგინა ევროკავშირის ხედვა ბტიკ-ის სამომავლო მხარდასაჭერში, კერძოდ, კოლეგიალური განხილვის ნებაყოფლობითი სავარჯოშის ხელშესაწყობად.

წარმოდგენილი მოხსენების საფუძველზე, კომენტარები გააკეთეს რუსეთის, ჩილეს, აშშ-ს, გაერთიანებული სამეფოს და შვედეთის წარმომადგენლებმა. ზოგიერთი საკვანძო საკითხი უკავშირდებოდა:

- განსხვავებულ ხედვებს გამჭვირვალობის ვიზიტის მიზნებთან დაკავშირებით
- ზოგადად, გამჭვირვალობის ვიზიტების მტკიცე მეთოდოლოგიის ნაკლებობას, რასაც მოჰყვება გამჭვირვალობის ვიზიტების მიმართ პოლიტიკურად მოტივირებული დასკვნების პოტენციალი
- საჭიროა/სასარგებლოა თუ არა შერჩევა და ანალიზი ამ ტიპის ვიზიტისთვის
- ვიზუალური შეფასებისა და არაფორმალური ინტერვიუების გარდა, სხვა პოტენციურ მეთოდურ ინსტრუმენტებს, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს გამჭვირვალობის ვიზიტებისათვის
- მოთხოვნილ კომპეტენციებს/ცოდნა-უნარებს, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნას ვიზიტორთა გუნდის მიერ
- „ნდობის განმტკიცების ზომების“ (CBMs) ფორმის როლს და ამ ზომების გასაძლიერებლად საჭირო ღონისძიებებს, ორმაგი დანიშნულების საქმიანობის დეტალების უზრუნველსაყოფად,

განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი პოლიტიკურად სენსიტიურია.

აკრონიმები

BSL	ბიოუსაფრთხოების დონე
BTWC	1972 ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის აკრძალვის კონვენცია
CBMs	ნდობის განმტკიცების ზომები
DURC	ორმაგი-დანიშნულების კვლევები
EDPs	განსაკუთრებით საშიში პათოგენები
GHSA	ჯანმრთელობის გლობალური უსაფრთხოების დღის წესრიგი
HEPA	მყარი ნაწილაკების მაღალეფექტური შეკავება/დაკავება
IHR	ჯანმრთელობის საერთაშორისო წესები
ISO	საერთაშორისო სტანდარტები
ISU	ბტიკ-ის იმპლემენტაციის ხელშეწყობის ერთეული
NCDC	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, საქართველო
PACS	პათოგენების აღრიცხვის კონტროლის სისტემა
WHO	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია